



ASSOCIATION OF YOUNG  
ECONOMISTS OF GEORGIA

# სურსათზე ხელშეწყობა საქართველოში

მონიტორინგის შედეგები




თბილისი, 2011

## სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა.....	3
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების გამოკითხვის შედეგები.....	4
მეთოდოლოგია.....	4
ზოგადი ინფორმაცია ოჯახების შესახებ.....	5
სურსათზე ხელმისაწვდომობა.....	5
კვლევის შედეგად გამოვლენილი შემთხვები.....	10


## ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში შინამეურნეობების 45% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ<sup>1</sup>. მიუხედავად სხვადასხვა მიზნობრივი სოციალური დახმარებებისა (პენსია, სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის ტრანსფერტები) მოწყვლადი ოჯახების ძირითად პრობლემად სურსათით და მედიკამენტებით დაკმაყოფილება რჩება<sup>2</sup>. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საქართველოში მოსახლეობის სურსათზე ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში 55%-ია.



შესაბამისად, მოსახლეობა და განსაკუთრებით, ღარიბი შინამეურნეობები საკმაოდ ძლიერად განიცდიან სურსათზე ფასების ცვლილების შედეგებს. შინამეურნეობების დაახლოებით ნახევარისთვის ერთ-ერთი მთავარ საზრუნავად რჩება საკვების საჭირო მოცულობით მოპოვება. მოსახლეობის ნახევარზე მეტი (53%) დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში<sup>3</sup>, სადაც არის დაბალი პროდუქტიულობა და მცირე შემოსავლები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სუსტად განვითარებულ სოფლის მეურნეობაში დაქმებული მოსახლეობა წარმოებული პროდუქციის 70%-ს პირადი მოხმარებისთვის გამოიყენებს, ისინი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ძირითად სასურსათო პროდუქციას მაინც შეიძენენ.

მოსახლეობის სასურსათო პროდუქციის ფასებზე მაღალი დამოკიდებულობა დიდი საფრთხეების და მაღალი რისკის მატარებელია განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც სურსათზე ფასები საქართველოში რეკორდული მაჩვენებლებით იზრდება (ფასები განსაკუთრებით გაიზარდა საკვებ ზეთზე, კარტოფილზე, ლობიოზე, შაქარზე). სურსათზე ინფლაცია ბოლო წლებში ჯამურ ინფლაციაზე მეტია. ამასთან სურსათზე ინფლაცია საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია.



<sup>1</sup> IFAD

<sup>2</sup> "სახელმწიფო სოციალური დახმარების მონაწილეობითი მონიტორინგი"; საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია; 2009

<sup>3</sup> საქსტატი



მაგალითად 2010 წელს, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ყირგიზეთის შემდეგ საქართველოში დაფიქსირდა სურსათის პროდუქციაზე ფასების ყველაზე მაღალი ზრდა (მსოფლიო ბანკი)<sup>4</sup>. შესაბამისად საქართველოს მოსახლეობისთვის სურსათზე ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტად რთული ხდება, რაც ასევე აისახება მიღებული საკვების რაციონზე და ხარისხზე. მომატებული ფასები განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს სოციალურად მოწყვლად ოჯახებზე, რომელთა ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს საკვებით უზრუნველყოფა და რომლებისთვისაც სოციალური დახმარება მხოლოდ 12 ლარით გაიზარდა ერთ სულზე (20 იანვარი, 2009). თუმცა მთავრობამ განახორციელა დამატებითი პროგრამები მათ დასახმარებლად. მაგალითად, ფასების ზრდის ეფექტის შესამსუბუქებლად მთავრობამ 2011 წლის მარტში განახორციელა სურსათის ვაუჩერის პროგრამა (31.4 მლნ.), ყველა შინამეურნეობას გადაეცა 30 ლარის ღირებულების ვაუჩერი. ასევე მოსახლეობას გადაეცა ელექტროენერჯის 20 ლარიანი ვაუჩერი. მიუხედავად ამ პროგრამების ერთჯერადი დადებითი ეფექტისა, მოსახლეობისთვის კვლავ აქტიუალურ პრობლემად რჩება სურსათზე ხელმისაწვდომობა.

გარდა ამისა, მომავალშიც სავარაოლოა სურსათის ფასების ზრდა, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ტენდენციებში ჩანს. სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეფასებით, მსოფლიოში 2000 წელთან შედარებით 2011 წელს სურსათზე ფასები 160%-ით გაიზარდა<sup>5</sup>. საქართველოსთვის ეს ტენდენცია განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან სასურსათო პროდუქციის 70% იმპორტირებულია. შესაბამისად, მსოფლიოში სურსათის ფასების ზრდა პირდაპირ აისახება საქართველოში ფასების ზრდაზე და მოსახლეობის საკვების მიმართ ხელმისაწვდომობაზე.

შეჯამებისთვის: საქართველოში სურსათზე ხელმისაწვდომობა ყოველწლიურად მცირდება, რაც განსაკუთრებით მძიმედ აისახება შინამეურნეობების 45%-ზე, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ და მათვის საკვებზე დანახარჯების წონა ყველაზე მაღალია. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობა სურსათის უზრუნველყოფის კუთხით საკმაოდ დიდი საფრთხეების წინაშე დგას.

## სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების გამოკითხვის შედეგები

### მეთოდოლოგია

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებზე სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდის გავლენის შეფასების მიზნით ჩატარდა ოჯახების სატელეფონო გამოკითხვა ქ. თბილისის მასშტაბით. სულ გამოკითხვა 404 ოჯახი, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და შესაბამისად, იღებენ საარსებო შემწეობას. გამოკითხვა ჩატარდა სპეციალური ანკეტის მეშვეობით და იგი მოიცავდა სურსათზე ხელმისაწვდომობის შეფასებისთვის ძირითად შეკითხვებს. ქ. თბილისის მასშტაბით გამოკითხულთა რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

<sup>4</sup> Food Price Watch; April 2011; World Bank, Poverty Reduction and Equity Group;

<sup>5</sup> <http://www.fao.org/worldfoodsituation/wfs-home/foodpricesindex/en/>

რაიონი	რესპოდენტთა რაოდენობა
1 ვაკე-საბურთალო	69
2 გლდანი-ნაძალადევი	116
3 დიდგორი	5
4 დიდუბე	57
5 ისანი	96
6 ძველი თბილისი	61
<b>სულ</b>	<b>404</b>

### ზოგადი ინფორმაცია ოჯახების შესახებ

გამოკითხული ოჯახების ნახევარზე მეტში (56,9%) არის ერთი (36,1%) და ორი (20,8%) ოჯახის წევრი.

ოჯახების დაახლოებით 1/3-ს (29,5 %) ჰყავთ ბავშვი<sup>6</sup> და საშუალოდ მათი რაოდენობაა - 2. ოჯახებში საშუალოდ 3 წლის ბავშვი(ები) ჰყავთ. ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალია მხოლოდ 54 ლარი.

გამოკლვეული ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საარსებო შემწობა და პენსია. ხელფასის სახით შემოსავალს მხოლოდ რესპოდენტთა 5,5% იღებს.

### სურსათზე ხელმისაწვდომობა

არის მოსაზრება, რომ ქართველი ადამიანი შიმშილით არ მოკვდება, რომ მას ყოველთვის გამოუჩნდება ნათესავი, ახლობელი, მეზობელი ანდა უბრალოდ უცნობი ადამიანი, რომელიც დახმარების ხელს გაუწვდის და ლუკმა პურს გაუზიარებს გასაჭირში მყოფ ადამიანს. ჩვენდა სასიკეთოდ ეს ნაწილობრივ სიმართლეს შეესაბამება. მაგრამ განა შიმშილის ტოლფასი ან კიდევ უარესი არაა, როდესაც დედა იძულებულია წყალზე და პურზე გადავიდეს, რადგან შვილს შაქარი ან რძის ნაწარმი მაინც უყიდოს. ანდა როდესაც ოჯახში ავადმყოფი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრია და მისი მედიკამენტების და მკურნალობის გამო ოჯახის სხვა წევრები თითქმის შიმშილობენ (თვეში რამოდენიმე დღე მაინც).


ასეთი ოჯახები და შემთხვევები ძალიან ბევრია. გასაკვირი არაა, რომ მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა საკვებ პროდუქტებზე მკვეთრი ფასების მატების შემდეგ. მარტოხელა და ხანდაზმული ადამიანები სათნოების სახლში და სხვა კათარზისებში დადიან საკვების მისაღებად. ოჯახების უმეტესობა ძირითად პროდუქტებს ნუგეშის მაღაზიათა ქსელში ყიდულობს ანდა ბაზრებში ნარჩენ და დაწუნებულ პროდუქტს შედარებით შეღავათიან ფასად.

გამოკითხული ოჯახების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სოციალური დახმარება (87,9%) და პენსია (78,7%). ხოლო რაც შეეხება ხარჯებს, გასული თვეების

<sup>6</sup> 18 წლამდე ასაკის


განმავლობაში ოჯახები საშუალოდ 52,4 ლარს ხარჯავდნენ თვეში, აქედან 12,2 ლარს საკვებზე.

რაც შეეხება ბოლო 3 თვის განმავლობაში შეძენილ და მოხმარებულ სურსათს, ოჯახები უმეტესად პურის (97%), მარილის (92%) და ზეთის (78%) შეძენას ახერხებდნენ. ოჯახები როგორც წესი ვერასოდეს ყიდულობდნენ სიმინდის ფქვილს (83,6%), ხორცს (88,1%), თევზს (87,6%),




მარგარინს (90,5%), კონსერვებს (თევზი, ხორცი, ბოსტნეული) (90,5%), ხილს (81,9%) და სხვა. ბოლო 3 თვის განმავლობაში, გაზრდილი ფასების შედეგად ოჯახებმა ვერ იყიდეს ხორცი (-6,5%), მარილი (-6%), თევზი (-5,2%), ხილი (-5,2%), ბრინჯი და წიწიბურა (-4,7%), ხორბლის ფქვილი (-4,5%) და სხვა.

ასევე ოჯახებმა, გაზრდილი ფასების მიზეზით მნიშვნელოვნად შეამცირეს შემდეგი სურსათის მოხმარება: ბრინჯი და წიწიბურა (26,6%), რძის ნაწარმი (25,1%), ლობიო (19,7%) ზეთი (18,2%), კვერცი (17,1%) და სხვა.




დახმარების სახით ოჯახები ყველაზე მეტად იღებენ ლობიოს (9,5%), მაკარონს (4,5%) და რძესა და რძის ნაწარმს (4,5%). შესაბამისად ოჯახების უმეტესობა მეტწილად დამოკიდებულია პურით და მცირე სახით სხვა საკვებით კვებაზე და სურსათზე ფასების ზრდა კიდევ უფრო მეტად ართულებს მათ მდგომარეობას.



”თვეში არის რამოდენიმე დღე მაინც როდესაც მხოლოდ წყალზე და პურზე ვართ, რადგან შემოსავლების უმეტესი ნაწილი იხარჯება კომუნალურ გადასახადებში.” - აცხადებს ორწევრიანი ოჯახის უფროსი, რომელსაც რამოდენიმე თვის წინ ორივე შვილი გარდაეცვალა.


”მიღებული შემწეობა საკმარისი არაა საკვების საყიდლად. მუშაობის დაწყებას ვერ ვახერხებ, ვინაიდან ჩემ შვილს მუდმივი მეთვალყურეობა და მოვლა სჭირდება. პროდუქტებზე ფასების კატასტროფული ზრდის გამო შაქრის და ზეთის შეძენა მნიშვნელოვნად შევამცირე. თუ ადრე წვნიანის მომზადებას მაინც ვახერხებდი ან შაქრიან ჩაის მაინც ვსვავდით, ახლა ესეც იშვიათად ხდება” - აცხადებს მცირეწლოვანი შვილის დედა.

აღსანიშნავია, რომ ოჯახების 71,5%-ის აზრით მათ ბოლო 1 წლის განმავლობაში ხშირად ვერ მიიღეს საკმარისი საკვები. სავარაუდოდ ეს მაჩვენებელი კიდევ მეტად გაიზარდება სურსათზე ფასების მუდმივი ზრდის პირობებში.



ამასთან ოჯახების 79,7%-ს ბოლო 1 წლის განმავლობაში ხშირად საკვები არ ყოფნიდა და ხშირად ფული არ ჰქონდათ მეტის ყიდვისთვის. სურსათზე მაღალი ინფლაციის პირობებში ოჯახებს უფრო ხშირად არ ეყოფად საკვები და არ ექნებათ საკმარისი ფული მეტის შესაძენად.


ოჯახების 82,4%-მა ბოლო 1 წლის განმავლობაში ხშირად ვერ მიიღო განსხვავებული სახის საჭირო/სასარგებლო საკვები<sup>7</sup>. ინფლაციის პირობებში ღარიბ ოჯახებს კიდევ უფრო მეტად ეზღუდებდა დაბალანსებული საკვების მიღების შესაძლებლობა.



მარტოხელა ქალბატონი, რომელსაც ცოტა ხნის წინ და გარდაეცვალა (მისი შემოსავალი არის მხოლოდ სოციალური შემწეობა) და არასაპენსიო ასაკისაა, ძირითადად ჭამს ძველ სერ პურის ფქვილისგან გამომცხვარ პურს.

პენსიონერი, აფხაზეთიდან დევნილი ცოლ-ქმარის ერთადერთი შვილი ღორის გრიპმა შეიწირა და დაიღუპა. მათ აღსაზრდელად დარჩათ ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იღებენ სოციალურ შემწეობას, ბავშვების ობლობის დახმარებას, პენსიას, მოხუცები ხშირად შიმშილობენ, რათა ბავშვების ელემენტარული ყოფა უზრუნველყონ.

ამასთან, ოჯახებმა ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირად (79,8%) შეძლეს მხოლოდ დაბალი ფასის და დაუბალანსებელი საკვების მიცემა საკუთარი ბავშვებისთვის.




"ასეთი ყოფა გაუსაძლისია, არ ვიცი როდემდე გავუძლებ, თუ რამე არ შეიცვალა. ჩემი შვილისთვის და ოჯახისთვის ყველაფრის გამკეთებელი ვარ. მაგრამ საკუთარ ღირსებაზე ხელს ვერ ავიღებ" - ამბობს მარტოხელა პატარა შვილის დედა.

"რაც შეეხება კვებას, ძალიან ხშირად ვშიმშილობთ. ვყიდულობთ ყველაზე დაბალფასიან და უხარისხო საკვებს (პურს). კვების რაციონი არის ძირითადად პური შაქარი და 1კგ. კარტოფილი. მეუღლის ექიმთან მიყვანასაც ვერ ვახერხებ" - აცხადებს ქალბატონი.


<sup>7</sup> იგულისხმება დაბალანსებული საკვები



ოჯახების 47%-ში 1 წლის განმავლობაში იყო 1 დღე მაინც, როდესაც ოჯახის რომელიმე სრულწლოვანმა წევრმა ვერ მიიღო საკვები რაღაც არ ჰქონდათ საკმარისი ფული.



კითხვაზე თუ რამდენად ხშირად იყო ასეთი შემთხვევა, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების კვლევა, შეგვიძლია დავასკვნათ, სურსათზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი გამოწვევაა ქვეყნისათვის. ამასთან, ფასების მუდმივი ზრდა საკვებ პროდუქტებზე კიდევ უფრო ამძიმებს და ამწვავებს აღნიშნულ პრობლემას.

საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ვერ მოხერხდება მხოლოდ სოციალური დაცვის გაძლიერებით, დასაქმების პროგრამებით ან სხვა ერთჯერადი დახმარებებით. აუცილებელია გატარდეს კომპლექსური პოლიტიკა, რომლის შედეგადაც ერთის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მოწყვლადი ჯგუფების სათანადო სოციალური დაცვა, მეორეს მხრივ კი ქვეყანაში მოხდება საკვები პროდუქტების როგორც პირველადი წარმოების, ასევე გადამამუშავების მიმართულებების მნიშვნელოვანი განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია სოფლის მეურნეობის დარგების გაძლიერების პოტენციალი, მიმდინარე ეტაპზე არსებული რესურსები მინიმალურადაა ათვისებული.

## კვლევის შედეგად გამოვლენილი შემთხვევები

...”ჩვენი შემოსავლის ერთადერთი წყარო სახელწიფო სოციალური შემწეობაა... თანხების ძირითადი ნაწილი მედიკამენტებსა და კომუნალურ გადასახადებში მეხარჯება... თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგვაქვს... თვის ბოლო ერთი კვირა როგორც წესი ვშიშვლობთ... ყველაფერზე მზად ვარ ჩემ შვილს საკვები რომ არ მოაკლდეს... თუ ადრე შაქრიან ჩაის და პურს მაინც ვიღებდი, ახლა ესეც გართულდა”...

ასეთი ფრაზები ხშირად გვესმოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების გამოკითხვისას. ხალხი რომელიც მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა კი არ იმყოფება არამედ შიმშილის და თვითგადარჩენის ზღვარზეა მისული. შეგვიძლია ჩავთვალოთ, ან თავი ვინუგეშოთ რომ ისინი ამწვავებენ და აბუქებენ თავიანთ მდგომარეობას. მაგრამ განა ვინმეს უნდა თავი შეაცოდოს სხვას და სახელმწიფოს შემწეობაზე იყოს დამოკიდებული მისი ოჯახის ბედი. ანდა ნუთუ ვინმესთვის შეიძლება სასიამოვნო იყოს ახლობლისგან მიღებული დახმარების მიღება.

თითოეული ოჯახის ისტორია განსხვავებული და სულში ჩამწვდომია. შეუძლებელია თანაგრძნობით არ აივსო, როდესაც მცირეწლოვანი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის დედა გიყვება, რომ წინა თვეს ფული არ ეყო, რომ მის შვილს რძის ნაწარმი მაინც მიეღო, ან ბავშვის მედიკამენტების და მკურნალობის გამო ოჯახის დარჩენილი წევრები მხოლოდ წყალსა და პურზე იყვნენ. ანდა მარტოხელა მოხუცებული ადამიანი კათარზისს რომ აკითხავს საკვების მისაღებად და ბაზარში რომ დადის საღამოობით დაწუნებული პროდუქტის მოსაპოვებლად.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ ჩვენი მეზობელი, ახლობელი, ნათესავი ანდა უბრალოდ გაჭირვებული ადამიანი შიმშილით მოკვდეს და თავს ვიწონებთ მათხოვრების ათი ან ოცთეთრიანი დახმარებით. უკეთეს შემთხვევაში ლარს ან ორ ლარსაც კი გავიღებთ, გასაჭირში მყოფმა ადამიანმა ოჯახში პური მაინც რომ მიიტანოს.

---

”ყოველთვიურად 15 რიცხვამდე (შემწეობის მიღებამდე) როგორც წესი ერთი კვირა თითქმის ვშიშვლობთ. საკვების შეძენა და ოჯახის დაპურება სულ უფრო და უფრო რთულდება და შიმშილობის დღეები იზრდება. ამ თვეშიც შემწეობის მიღებამდე რამოდენიმე დღით ადრე პურის ფულიც კი აღარ მქონდა და მეზობელმა ორი რკინის ლარიანი ჩამიდო ხელში. არ მინდოდა გამორთმევა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. პური შევიძინე და მეუღლე მოვატყუე, რომ ნისიად მომცეს მალაზიაში”- ყვება 5 სულიანი ოჯახის მარჩენალი ქალბატონი.

მისი მეუღლე ლოგინადაა ჩავარდნილი და მოვლა ესაჭიროება, ამიტომ ქალბატონი იძულებული გახდა სამუშაოსთვის თავი დაენებებინა. ოჯახში კიდევ ორი მოხუცი და ერთი მცირეწლოვანი ბავშვი ყავთ. საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის შედეგად მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. მათი შემოსავალი სოციალური შემწეობა და პენსია ჯამში 291 ლარს შეადგენს. ერთი შეხედვით და ტრადიციული მიდგომით კარგი დიასახლისი

ამ თანხით ოჯახს შშიერს არ ამყოფებს. მაგრამ მათი კვების ძირითად პროდუქტებზე თითქმის 100%-იანი ფასების ზრდის შედეგად ოჯახმა თითქმის გაანახევრა შაქრის, ზეთის, კარტოფილის, მაკარონის და კვერცხის მოხმარება. არაფერს ვამბობ უკვე ისეთ პროდუქტებზე რომელსაც აქამდეც ვერასდროს ყიდულობდა.

---

რთულია განსაზოგადებლად ან შესადარებლად რომელი ოჯახების ყოფა უფრო გაუარესდა საკვებზე ფასების ზრდის შედეგად, მარტოხელა ან ორწევრიანი ოჯახებისა თუ მრავალსულიანი ოჯახების.

განსაკუთრებით გამწვავდა 5 წევრიანი ოჯახის მდგომარეობა გასული სამი თვის განმავლობაში. ფასების ზრდასთან ერთად ოჯახს თან დაერთო ორი წევრისთვის სოციალური შემწეობის მოხსნა. ოჯახში, სადაც ერთი მცირეწლოვანი ბავშვი და ორი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, თითქმის შეუძლებელი გახდა ჯანსაღი საკვების შეძენა და მოხმარება. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო სოციალური შემწეობაა, რომლის მიღებამდე ოჯახის დანარჩენი ორი წევრი, როგორც წესი, რამოდენიმე დღე მხოლოდ წყალზე, ჩაისა და პურზე არიან.

მათი შიმშილის მიზეზი ცალსახაა: პატარას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საჭმელი არ მოაკლდეთ.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტიც, რომ მცირეწლოვანი ბავშვი და მისი დედა აღარ არიან სოციალური შემწეობის მიმღებები. ისინი ცოტა ხნის წინ მეუღლემ მიატოვა. დედამ შვილის კეთილდღეობისთვის სცადა ბავშვის მამასთან შერიგება და ერთი თვით ისევ მასთან გადავიდა საცხოვრებლად, რის შედეგადაც მას და მის პატარასაც მოეხსნათ შემწეობაც და ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისიც. ერთად ცხოვრება არ გამოვიდა. დედის ოჯახში დაბრუნებული შვილთან ერთად დააწვა და-ძმის და დედის ისედაც მცირე შემწეობას, რაც მათთვისაც საკმარისი არ იყო.

პატარა შვილის პატრონი უშედეგოდ ეძებს სასახურს, მზადაა ნებისმიერი ფიზიკური შრომა გაწიოს, მაგრამ ამაოდ.

„ასეთი ყოფა გაუსაძლისია, არ ვიცი როდემდე გავუძლებ, თუ რამე არ შეიცვალა. ჩემი შვილისთვის და ოჯახისთვის ყველაფრის გამკეთებელი ვარ. მაგრამ საკუთარ ღირსებაზე ხელს ვერ ავიღებ“- ამბობს მარტოხელა პატარა შვილის დედა.

---

რატომ ხდება, რომ მოხუცებული ადამიანი ყველასაგან მიტოვებულად და ყველასათვის უსარგებლოდ გრძნობს თავს? იქნებ იმიტომ რომ მას იმდენი აღარ შეუძლია, რაც ახალგაზრდობაში, ან იქნებ იმიტომ რომ ის ”სიკეთისთვის” ან დახმარებისთვის ვეღარ გადაუხდის სიკეთის დამთესს მომავალში?!

”მე და ჩემ მეუღლეს ერთმანეთის გარდა აღარავინ დაგვრჩენია. რძალს და სიძეს შვილების გარდაცვალების შემდეგ აღარც კი ვახსენდებით. შვილიშვილებსაც აღარ გვანახებენ. ან კი ვის სჭირდება მოხუცებული და გაჭირვებული ბებია და ბაბუა” - ამბობს უკვე ორწევრიანი

ოჯახის უფროსი. რამოდენიმე თვის წინ მას ორივე ახალგაზრდა შვილი გარდაეცვალა. მისი და მეუღლის ბედი ნათესავებსაც კი აღარ ალელვებს, არავინ არ ეხმარება. მათი ერთადერთი შემოსავლის წყარო სოციალური შემწეობაა, რომლის ნახევარზე მეტი კომუნალურ გადასახადებში და მედიკამენტებზე იხარჯება.

---

ოჯახების უმეტესობა, სადაც ავადმყოფი წევრია შემწეობის ძირითად ნაწილს მედიკამენტებზე ხარჯავს. მარტოხელა დედის და ავადმყოფი შვილის ცხოვრებაც ასე მიედინება. ვაჟს ძვირადღირებული და დიდი რაოდენობის მედიკამენტები ესაჭიროება, რასაც მისი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი არ ფარავს. დედა იძულებულია ძალიან ხშირად იმომშობლოს შვილის სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

„მიღებული შემწეობა საკმარისი არაა საკვების საყიდლად. მუშაობის დაწყებას ვერ ვახერხებ, ვინაიდან ჩემ შვილს მუდმივი მეთვალყურეობა და მოვლა სჭირდება. პროდუქტებზე ფასების კატასტროფული ზრდის გამო შაქრის და ზეთის შეძენას თითქმის ვეღარ ვახერხებ. თუ ადრე წვნიანს ვამზადებდი ან შაქრიან ჩაის მაინც ვსვავდით, ახლა ესეც იშვიათად ხდება“ - ამბობს დედა.

---

მარტოხელა ქალბატონს, რომელსაც შაქრიანი დიაბეტი აქვს და სწორი კვება ესაჭიროება, ძალიან გაურთულდა ძირითადი პროდუქტების შეძენა ფასების ზრდის შედეგად. მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო პენსია და შემწეობაა, რომლის ნახევარზე მეტიც ყოველთვიურად მედიკამენტებზე ეხარჯება. დარჩენილი თანხით კი თითქმის შეუძლებელია თვიდან თვემდე საკვების მიღება. თუ შემწეობას იღებს თვის შუა რიცხვებში მომდევნო თვის დასაწყისიდან თანხა თითქმის აღარ რჩება. ბოლო ერთი კვირა კი თითქმის სულ შიმშილობს, თუ ვინმე არ დაეხმარა. საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ წყალსა და პურზე ახერხებს თავის გატანას.

---

აღბათ ხანდახან გვიფიქრია, რომ როგორ შეიძლება შიმშილობდეს ოჯახი თუ მისი წევრი შრომისუნარიანია. იშვავს სამსახური დამლაგებლად, მუშად, ორი ხელი და ორი ფეხი ხომ აბია. ჩვენთვის ასეთი შეფასებების და კომენტარების კეთება იოლია. მაგრამ არავინ იცის როგორ მოვიქცეოდით მათ ადგილას.

ორსულიან ოჯახში არცერთი პენსიონერი არაა და მათი შემოსავალი მხოლოდ სოციალური შემწეობაა. ოჯახის უფროსს ცოტა ხნის წინ სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა. ვერავინ ამბობს გადარჩება თუ არა ან რამდენ ხანს იცოცხლებს, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა - მას გადაუდებელი ოპერაცია, შემდგომ მუდმივი მეთვალყურეობა, ძვირადღირებული მედიკამენტები და სწორი კვება ესაჭიროება სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მეუღლემ სამსახურს თავი დაანება მის მოსავლელად. 2010 წელს ღარიბების დაზღვევის მოწესრიგების მიზნით დარიგდა ახალი ჯანმრთელობის პოლისები, მაგრამ რატომღაც ყველასათვის გაუგებარი მიზეზების გამო ავადმყოფს პოლისი არ მიუღია. უკვე 5 თვეა ავადმყოფი ადამიანი დადის პოლისის მისაღებად, მაგრამ უშედეგოდ. ნათესავები ეხმარებიან



კომუნალური ხარჯების დასაფარად. რაც შეეხება კვებას ძალიან ხშირად შიმშილობენ. ყიდულობს ყველაზე დაბალფასიან და უხარისხო საკვებს (პურს). კვების რაციონი არის ძირითადად პური შაქარი და 1კგ. კარტოფილი. მეუღლის ექიმთან მიყვანასაც ვერ ახერხებს.

---

ასეთი ოჯახები მრავლადაა. ზოგიერთი თამამად საუბრობს თავის ყოფაზე, ზოგს უჭირს ამ თემაზე საუბარი და ზოგიერთმა საერთოდ არც კი იცის ვის გაუზიაროს საკუთარი პრობლემები.